ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3152003

ნომერი: AR1477950

თარიღი : 11.02.2017

გაცემის თარიღი : 21.03.2017

გაცნობის თარიღი : 21.03.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კოლოუბანი , ნაკვეთი 20/040 / ქალაქი თბილისი , ქუჩა კალოუბანი , უნივერმაღის მიმდებარედ , ნაკვ.20/039 / ქალაქი თბილისი , ქუჩა კალოუბანი , N 34 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ვასაძე პ/ნ 01008005344
- თბილისი გ.შატბერაშვილის ქ. N 28

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 5 სექტემბრის №866167 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებისა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 11 თებერვალს #AR1477950 განცხადებით მომართა მოქალაქე დავით ვასაძემ და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 5 სექტემბრის №866167 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელება, ობიექტის ფუნქციის ცვლილების მიზნით.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 5 სექტემბრის №866167 გადაწყვეტილებით,

კოლოუბანის ქ. (ნაკვეთი20/040), უნივერმაღის მიმდებარედ (ნაკვეთი 20/039), კოლოუბანის ქ. #34-ში (ს.კ.N 01.19.20.020.009) არსებული შენობის რეკონსტრუქციის (მიშენებით მასში დამხმარე ფართის მოწყობის მიზნით (სასაწყობე, საქვაბე) მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
სამსახურის 2014 წლის 9 სექტემბრის №1450964 ბრძანებით ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 05.09.2013 წ. #866167 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატა ახალი საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო ერთეული #01.19.20.020.052 ფართობი – 4428 კვ.მ);
დღევანდელი მდგომარეობით ფუნქციური ზონა , მიწის ნაკვეთის ფართი და საკადასტრო კოდი უცვლელია.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელია 2013 წლის 5 სექტემბრის №866167 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 5 სექტემბრის №866167 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საპროექტო ობიექტის ფუნქციად დაფიქსირდეს: მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა (სავაჭრო და საცხოვრებელი);
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 5 სექტემბრის №866167 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.